სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 იანვარი, 2024 წ

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N07-01/05

,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, 66-ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის დადგენილების, ,,გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის ბსუ-ს აუდიტორიების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის დადგენილების (რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ბსუ-ს ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შესახებ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილება), ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 06 დეკემბრის N06-01/137 დადგენილების, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და 2023 წლის 16 იანვრის სხდომის N07-02/01 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ,,**ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:**

ა) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. წინამდებარე წესის მიხედვით ბსუ-ს სტიპენდიები ენიშნებათ ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ, ბსუ-ს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს (შემდეგში - ,,სტიპენდიანტი“):
ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამის ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, მოცულობა - 240 კრედიტი);

ბ) სამედიცინო ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინის პროგრამის ხანგძლივობა - 12 სემესტრი, ხოლო მოცულობა - 360 კრედიტი; სტომატოლოგიის პროგრამის ხანგძლივობა - 10 სემესტრი, ხოლო მოცულობა - 300 კრედიტი);
გ) დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხანგძლივობა - 10 სემესტრი, მოცულობა - 300 კრედიტი);
დ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, მოცულობა - 120 კრედიტი).";

ბ) პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია", ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, სწავლების მე-2 წლიდან (მე-3 სემესტრიდან), რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) „საშუალო შეწონილი" ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები (შენიშვნა: საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 \text{x} B^1 + A^2 \text{x} B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)";

გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია" და „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია", თითოეული, ენიშნება თითოეული ფაკულტეტიდან 1 სტუდენტს.

დ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია" - სემესტრულად, ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, 5 თვის პერიოდისათვის (შემოდგომის სემესტრისათვის - ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან ივლისის ჩათვლით პერიოდისათვის).

ე) მე-4 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი

1. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, ყოველ სემესტრში, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში.“

ვ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,გ) კონკურსის პირობები/შესარჩევი კრიტერიუმები, რაც დადგენილია წინამდებარე წესით და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებით, რექტორის ბრძანებით;“.

ზ) მე-5 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. სახელობითი სტიპენდიანტების კონკურსში მონაწილის განაცხადი და დოკუმენტაცია

1. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევ კონკურსში მონაწილის საკონკურსო განაცხადი (შევსებული წინამდებარე წესის N1 დანართის შესაბამისად) და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სტუდენტური პორტალის საშუალებით (,,წერილი კანცელარიას”, რექტორის სახელზე), კერძოდ:“

თ) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) სრულყოფილი საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის მქონე **თითოეული ფაკულტეტის** სტუდენტებიდან შეარჩევს **შესაბამისი სახელობის სტიპენდიანტს** და კონკურსის შედეგებს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს (ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პირების შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);“

ი) მე-7 მუხლის სათაური და შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამოიცემა რექტორის ბრძანება ბსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.
2. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანება შესაძლოა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი და შეწყდეს სტიპენდიის გაცემა (ან/და სტუდენტი დავალდებულდეს დააბრუნოს მიღებული სტიპენდია), თუკი გამოვლინდა შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.“

კ) წინამდებარე **წესის N1 დანართში - საკონკურსო განაცხადში, ჩანაწერის ,,შოთა რუსთაველის“ ნაცვლად დატოვებული იქნეს ადგილი, შესაბამისი სახელობის სტიპენდიის ჩაწერის მიზნით;**

ლ) წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ,,**ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი“ ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით** (N1 დანართი და მასზე თანდართული განაცხადის ფორმა).

2. წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი“ განთავსდეს ბსუ-ს- ვებგვერდზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
4. ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელი კონკურსი გამოცხადდეს 2023-2024 სასწავლო წლიდან, წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
5. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის
N07-01/05 გადაწყვეტილების
N1 დანართი

ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტებისათვის ბსუ-ს სტიპენდიების (შემდეგში - ,,სტიპენდია“) დანიშვნისა და გაცემის რეგულაციას.
2. ბსუ-თან გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ან/და შემოსული წერილის საფუძველზე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ დაფინანსებული სტიპენდიის დაწესება და სტიპენდიანტების შერჩევა (კონკურსის გამოცხადება) ხორციელდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
3. წინამდებარე წესის მიხედვით ბსუ-ს სტიპენდიები ენიშნებათ ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ, ბსუ-ს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს (შემდეგში - ,,სტიპენდიანტი“):
ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამის ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, მოცულობა - 240 კრედიტი);
ბ) სამედიცინო ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინის პროგრამის ხანგძლივობა - 12 სემესტრი, ხოლო მოცულობა - 360 კრედიტი; სტომატოლოგიის პროგრამის ხანგძლივობა - 10 სემესტრი, ხოლო მოცულობა - 300 კრედიტი);
გ) დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხანგძლივობა - 10 სემესტრი, მოცულობა - 300 კრედიტი);
დ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, მოცულობა - 120 კრედიტი).
4. წინამდებარე წესის მიხედვით ბსუ-ს სტუდენტს შესაძლებელია დაენიშნოს შემდეგი სახის სტიპენდია:

ა) **,,პირველსემესტრელის სტიპენდია“**, ყოველთვიურად **100 ლარის** ოდენობით - ენიშნება პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის იმ სტუდენტს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მის მიერ პირველ ნომრად მითითებულ, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა-გ“ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამაზე და ამავდროულად, ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრული არჩევითი საგნის გამოცდაზე მიღებული აქვს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი ქულა (სკალირებული);

ბ) „შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია“, ყოველთვიურად **500 ლარის** ოდენობით, ენიშნება **ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ,** წინამდებარე მუხლის **მე-3 პუნქტით** გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამის სტუდენტს, სწავლების მე-2 წლიდან (მე-3 სემესტრიდან), რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი" ფორმულით მიღებული **აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს** წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები **(შენიშვნა:** საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)

გ) „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია“, ყოველთვიურად **500 ლარის** ოდენობით, ენიშნება **ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ,** ბსუ-ს **სამაგისტრო პროგრამის** სტუდენტს, სწავლების **მე-2 წლიდან (მე-3 სემესტრიდან),** რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), **„საშუალო შეწონილი" ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს** წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები **და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით** (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები **(შენიშვნა:** საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)“;

5. სტუდენტს ერთდროულად ორი სახის სტიპენდია არ ენიშნება (თუკი დანიშნული აქვს რომელიმე სახის სტიპენდია, მასზე სხვა სახის სტიპენდიის გაცემის ბრძანება არ გამოიცემა/სტიპენდია არ გაიცემა და წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მოხდება სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა).
6. დამამთავრებელი სემესტრის შეფასებების გათვალისწინებით სტიპენდიის დანიშვნა არ ხორციელდება.
7. **ბსუ–ს სტიპენდიები არ ენიშნებათ:**
ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირს;
ბ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);

გ) სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
დ) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტს;
ე) თუკი შესაბამისი პერიოდისათვის უკვე დანიშნული აქვს ბსუ-ს სამართლებრივი აქტით რომელიმე სახის სტიპენდია.

მუხლი 2. ბსუ-ს სტიპენდიების რაოდენობა და ხანგრძლივობა

1. ბსუ-ს თითოეული ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპით - ფაკულტეტის ყოველ 250 სტუდენტზე - 1 სტიპენდიანტი. სტიპენდიანტთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, თანაბარი ქულების მქონე კანდიდატების გათვალისწინებით.
2. ,,შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია“ და ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია“, თითოეული, ენიშნება თითოეული ფაკულტეტიდან 1 სტუდენტს.
3. სტიპენდიები გაიცემა ერთჯერადად, სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ბსუ-ს სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა:
ა) ,,პირველსემესტრელის სტიპენდია“ - მხოლოდ ერთ სემესტრში, ბსუ-ში ჩარიცხვის წლის 1 ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდის გათვალისწინებით (5 თვის);
ბ) ,,შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია“ - სემესტრულად, ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, 5 თვის პერიოდისათვის (შემოდგომის სემესტრისათვის - ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან ივლისის ჩათვლით პერიოდისათვის);
გ) ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია“ - სემესტრულად, ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, 5 თვის პერიოდისათვის (შემოდგომის სემესტრისათვის - ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან ივლისის ჩათვლით პერიოდისათვის).

მუხლი 3. პირველესემესტრელის სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა

1. <u>,,პირველესემესტრელის სტიპენდიის“</u> დანიშვნისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია სტიპენდიანტობის კანდიდატების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
ბ) სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი;
გ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი;
დ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ არჩევითი საგნის გამოცდაზე აბიტურიენტის მიერ მიღებული სკალირებული ქულა;

ე) ბსუ-ში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ ინფორმაცია.

2. „პირველესემესტრელის სტიპენდიის“ შესახებ დეკანის სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში (მონაცემები უნდა გადამოწმდეს და ვიზირებული უნდა იქნეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ), რომელიც გადაეცემა ბსუ-ს იურიდიულ და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტებს, პირველესემესტრელის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადების მიზნით.

„მუხლი 4. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი

1. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, ყოველ სემესტრში, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სტუდენტის საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა და ადგილი;
ბ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა;
გ) კონკურსის პირობები/შესარჩევი კრიტერიუმები, რაც დადგენილია წინამდებარე წესით და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებით, რექტორის ბრძანებით;
დ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნების ვადა.

3. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 სამუშაო დღით, ხოლო სტიპენდიანტები შეირჩევა კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (რეკომენდებულია კონკურსის შედეგები განისაზღვროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის გამოცემამდე).
4. კონკურსის შესახებ ინფორმაცია და რექტორის ბრძანება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და ვრცელდება ბსუ-ს პორტალზე, კონკურსანტთა განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 5. სახელობითი სტიპენდიანტების კონკურსში მონაწილის განაცხადი და დოკუმენტაცია

1. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევ კონკურსში მონაწილის **საკონკურსო განაცხადი** (შევსებული წინამდებარე **წესის N1 დანართის** შესაბამისად) და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **სტუდენტური პორტალის საშუალებით** („წერილი კანცელარიას”, რექტორის სახელზე), კერძოდ:

ა) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;
ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი);
გ) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირისაგან (რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას);

დ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პულიკაციის დედანი ან დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი მოთხოვნისთავე უნდა წარედგინოს საკონკურსო კომისიას).
2. კონკურსანტს უფლება აქვს საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს მის მიერ უკვე წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადში ან დოკუმენტაციაში ცვლილებების/დამატებების შეტანის თაობაზე განცხადება.
3. საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის წინამდებარე მუხლით დადგენილი წესი, ფორმატი და ფორმა შესაძლებელია შეიცვალოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი

1. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სტიპენდიანტთა შესარჩევი საკონკურსო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს რექტორის მიერ განსაზღვრული რექტორის მოადგილე.
2. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე. კომისიის მდივანი აირჩევა ამავე წესით.
3. კომისიის სხდომები დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სიითი უმრავლესობით. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომები იმართება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებაში აღნიშნული საკონკურსო ვადების შესაბამისად. კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.
5. საკონკურსო კომისია:
ა) ამოწმებს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სისრულეს, მათ ფორმალურ და შინაარსობრივ შესაბამისობას წინამდებარე წესის მოთხოვნებთან;
ბ) უფლებამოსილია ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვოს კონკურსანტების შესახებ ზეპირი ან წერილობითი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან;
გ) ადგენს იმ კონკურსანტების სიას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია არ ექვემდებარება განხილვას და წინამდებარე წესის პირველ მუხლში აღნიშნული რომელიმე საფუძვლის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე (საოქმო გადაწყვეტილების შესახებ სამსახურებრივი ბარათი ეგზავნება ბსუ-ს რექტორს და კონკურსიდან მოხსნილ სტუდენტებს ეცნობება/ეგზავნება ინფორმაცია/წერილობითი შეტყობინება);
დ) სრულყოფილი საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის მქონე **თითოეული ფაკულტეტის** სტუდენტებიდან შეარჩევს **შესაბამისი სახელობის სტიპენდიანტს** და კონკურსის შედეგებს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს (ინფორმაცია კონკურსში

გამარჯვებული პირების შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
ე) თითოეულ სხდომაზე ადგენს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამოიცემა რექტორის ბრძანება ბსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.
2. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანება შესაძლოა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი და შეწყდეს სტიპენდიის გაცემა (ან/და სტუდენტი დავალდებულდეს დააბრუნოს მიღებული სტიპენდია), თუკი გამოვლინდა შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.“

მუხლი 8. წინამდებარე წესის მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები

1. სტიპენდიანტი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც ეწინააღმდეგება მისთვის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის ამ წესის მოთხოვნებს. ასეთი სახის ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოდგენა სტიპენდიანტს ევალება ასევე უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნისთანავე.
2. სტუდენტის აკადემიური მოსწრების/სტუდენტის სტატუსის შესახებ წარდგენილ (ასევე შემდეგში დამატებით წარმოსადგენ) მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტი და სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, მათი კომპეტენციის ფარგლებში.
3. სტიპენდიანტის, ფაკულტეტის, ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის მიერ მოწოდებული წერილობით ინფორმაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი სტიპენდიანტის ნაწილში სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ბრძანების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობის შესახებ, თუ აღმოჩნდება, რომ სტიპენდიის გაცემის შესახებ რექტორის ბრძანების მომზადება-გამოცემის დროისათვის ან/და გაცემის შემდეგ პერიოდში, სტუდენტი ვერ აკმაყოფილებდა ამ წესით სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის
N1 დანართი

ბსუ-ს სტუდენტის საკონკურსო განაცხადი

(---------- სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

1.	ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	სწავლების საფეხური	
5.	საგანმანათლებლო პროგრამა	
6.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
7.	რეგისტრაციის მისამართი	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	
9.	საკონტაქტო ტელეფონი	
10.	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა	
11.	სხვა ინფორმაცია კონკურსანტის შეხედულებით	

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა (მოხსენების სათაური და სხვა)	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

პუბლიკაციების რაოდენობა: ——————, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ——————, —————— (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

პუბლიკაციების ჩამონათვალი:

№	**პუბლიკაციის დასახელება**	**გამომცემლობა და გამოცემის წელი**	**პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)**	**თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
1				
2				

დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით):----------

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნამდვილია და პასუხისმგებელი ვარ მათ სისწორეზე, ამასთანავე **თანხმობას ვაცხადებ:**

1. ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები (განიხილოს, განთავსდეს/გასაჯაროვდეს ინფორმაცია ბსუ-ს ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსებზე, კონკურსის შედეგად გამოვლენილი სტიპენდიანტების თაობაზე); გადაამოწმოს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა;
2. შევასრულო სტიპენდიის დანიშვნისა და მიღების წესის მოთხოვნები.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განცხადი და დოკუმენტაცია ---------- **სახელობის სტიპენდიის** მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

(განმცხადებლის ხელმოწერა)

_____

განცხადების შევსების
და წარდგენის თარიღი: